



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშინგტონია



ვაშინგტონია (*Washingtonia*), მარაოფოთლებიანი პალმების გვარი. გვარში 2 სახეობაა – ძაფისებრი ვ. (*W. filifera*) და მძლავრი ვ. (*W. robusta*). ბუნებრივად იზრდება აშშ-სა (სამხრ.-აღმ. კალიფორნია, დას. არიზონა, კოლორადო) და ჩრდ.-დას. მექსიკაში მდინარეებისა და ნაკადულების ქვიან კალაპოტში, კანიონებსა და ხევებში; ქმნის კორომს. ორივე სახეობა დეკორ. მცენარედ კულტივირებულია საქართვე.

შავი ზღვის სანაპიროზე ბაღებსა და პარკებში. საქართვე. ზღვისპირა ზონის (გულრიფში, სოხუმი) ძაფისებრი ვ-ის სიმაღლე 30 მ არის. ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას 10–15 წლისა იწყებს. გამოირჩევა გვალვაგამძლეობით, კარგად იზრდება კირიან ნიადაგზე. უძლებს -10°C ყინვას (ცალკეული ეგზემპლარები – ამაზე დაბალსაც), უფრო მკაცრი ზამთარი კი აზიანებს. მძლავრი ვ. ძაფისებრზე მაღალი და წვრილია, აქვს უფრო კომპაქტური ვარჯი და ნაკლებ ყინვაგამძლეა.
